

10. ნიადაგური ტენის სრულყოფილი მართვა

მდგრადი მართვის ნიადაგებისათვის დამახასიათებელია ტენის სწრაფი შეწოვა, მცენარისათვის ხელმისაწვდომი ოპტიმალური რაოდენობის ტენის შენახვა და მამღრობისას ეფექტური დრენაჟი., მაგრამ თუ ეს პირობები არ სრულდება იქმნება ისეთი პრობლემები, როგორცაა ჭარბტენიანობა და წყლის უკმარისობა. ერთის მხრივ, ჭარბტენიანობა დაკავშირებული ნიადაგის ტენით მამღრობასთან პრობლემებს უქმნის დაფესვიანებას, რაც ამცირებს მოსავლიანობას და შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ დამაბინძურებელმა ნივთიერებებმა, როგორებიცაა დარიშხანი და მეთილვერცხლი შეწყვიტონ ნიადაგში შეკავება და დაიწყონ მიგრირება; მეორეს მხრივ, წყლის უკმარობას, წარმოქმნილს აორთქლებული წყლის დანაკარგით, ზედაპირული დინებებით და გაჟონვით, ასევე შეუძლია მიგვიყვანოს მოუსავლიანობამდე.

- ტენიანი კლიმატის რაიონებში, სადაც ნალექები ჭარბობენ ჯამურ აორთქლებას საჭიროა აერაციის უზრუნველყოფელი დამატებითი სადრენაჟო სისტემები, აუცილებელი ფესვთა სისტემების ისეთი ფუნქციებისათვის, როგორცაა საკვები ნივთიერებების შთანთქმა. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია მძიმე გრანულომეტრული შედგენილობის და მაღალი ტენშემანარჩუნებელი უნარის მქონე ნიადაგებისათვის
- გრუნტის წყლების დონების კონტროლის და შესაძლო ჭარბტენიანობის ასარიდებლად საჭიროა ღია და დახურული სადრენაჟო სისტემების მოწყობა და მათი ხელშეწყობა
- მცენარეთა მიერ ირიგაციული წყლების ეფექტური გამოყენება უნდა ამაღლდეს წყლების მიყვანის, გადანაწილების და შეტანის მეთოდების სრულყოფის გზით (მაგალითად, კაპილარული მორწყვა, მორწყვა გრაფიკით, ან სპრინკლერებით), რომლებიც ამცირებენ ირიგაციული წყლების დანაკარგებს აორთქლებით, ან ჩაჟონვით., გარდა ამისა, აუცილებელია ნიადაგური ტენის მარაგის შეფასების მეთოდების სრულყოფა და სასოფლო სამეურნეო კულტურათა სახეების და ჯიშების სწორი შერჩევა, ირიგაციის გრაფიკის შედგენა და ირიგაციის მოცულობის გაანგარიშება.
- მშრალი კლიმატის რაიონების სასოფლო სამეურნეო სისტემებში საჭიროა მიღებული იქნას ზომები წყლის ეფექტური გამოყენების ოპტიმიზირების მიმართულებით., მაგალითად, ნიადაგის საფარის რეგულირება (წინამორბედი კულტურები, საკვები კულტურები, თესლბრუნვა) და ზედაპირული დინებების შეკრება თესვის დროს ხელმისაწვდომი წყლის გაზრდისათვის, ნიადაგის ზედაპირიდან აორთქლებით წყლის დანაკარგის შემცირება, წყლით ადექვატური უზრუნველყოფა მცენარეთა განვითარების თითოეულ სტადიაში. ხშირად ასეთი ზომები მოიცავს კომპრომისების და რისკების ძიებას.

- ხელი უნდა შეეწყოს მცენარეთა მიერ ნიადაგური წყლის ოპტიმალურ ამოღებას/მოპოვებას შესაბამისი ჯიშების შერჩევის და აგროქიმიური ოპერაციების გულმოდგინედ დაგეგმარების გზით
- აუცილებელია საირიგაციო წყლის რეგულარული შემოწმება საკვები ნივთიერებების და პოტენციალურად მავნე ნივთიერებების შემცველობაზე.